განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

17-18 დეკემბერი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

29 იანვარი, 2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კერძო (ბიზნეს) სამართალი Private (Business) Law
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	კერძო სამართლის მაგისტრი (Master of Private Law)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0421 სამართალი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისანმასწავლებლის მომზადებისსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 8/2/2012 N298

[1]ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში:მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთადერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან მოსახლიშვილი, სამართლის დოქტორი, სს საქართველოს ენერგეტიკის ფონდის დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში, კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ჩაჩავა, ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; პროფესორი, სამართლის სკოლა, შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ხუბულია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „უსდ“)კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტს მოიცავს. იგი შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისგან. სსიპ - ილიას სახელმწოფო უნივერსიტეტი კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს 2012 წლიდან.
კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამამოიცავს 120 ECTS კრედიტს. პროგრამა შედგება სავალდებულო კომპონენტის (84 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტებისგან (36 კრედიტი); სავალდებულო კომპონენტი მათ შორის მოიცავს სამაგისტრო ნაშრომს, ხოლო თავისუფალი კომპონენტი - მოიცავს სამართლის არჩევით კურსებსა და თავისუფალ კომპონენტებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 17-18 დეკემბერს. ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 17 დეკემბერს 10:00 სთ-დან 10:40 სთ-მდე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, 12:15 სთ-დან 13:10 სთ-მდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ხოლო 15:15 სთ-დან 16:00 სთ-მდე შეხვედრა შედგა დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან. ყველა სხვა შეხვედრა გაიმართა 18 დეკემბერს; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება შედგა 18 დეკემბერს 13.30-დან 14.30 მდე დისტანციური ფორმატით ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა ზუმით) საშუალებით. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ადმინისტრაცია მზად იყო

თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფის, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში.
ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

კერძო (ბიზნეს) სამართალს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის შემოწმებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და მოქმედი წესის მიხედვით პროგრამა, მისი კომპონენტები და განხორციელების პროცედურები შეფასებული იქნა შემდგენაირად:

#	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტებთან

რეკომენდაციები

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რეკომენდაციები:

1.2 სტანდარტთან მიმართებაში

- რეკომენდირებულია, გადაიხედოს კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის ყველა შედეგი;
- რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა გადაიხედოს სწავლის შედეგებთან ერთად;

2.6. სტანდარტთან მიმართებაში

- მიზანშეწონილია სილაბუსებში მკაფიოდ და ამომწურავად იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რჩევები:

1.1 სტანდარტთან მიმართებაში - მიზანშეწონილი იქნება თუ შესრულდება საჯარო და კერძო სექტორისათვის გამოცხადებული იმ ვაკანსიებისა და მოთხოვნების ანალიზი, რომელიც სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულის დასაქმების პერსპექტივას ქმნის და რაც პროგრამის განვითრების კიდევ ერთ საფუძველს შექმნიდა.

1.2 სტანდარტთან მიმართებაში

სწავლის შედეგების მიღწევის დონის სამიზნე ნიშნულებთან დადარებისა და შედეგების ანალიზს გაუმჯობესების მხრივ სასურველია მკაფიოდ განისაზღვორს სამიზნე ნიშნულების გამოთვლა/დადგენის საფუძველი.

- პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად სასურველია შემუშავდეს მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სადაც დეტალურად აისახება პროგრამის მიზნები როგორ შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედგებთან.

2.1 სტანდარტთან მიმართებაში

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემის დოკუმენტში უნდა გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები, რათა დაინტერესებული პირებისთვის უფრო განჭვრეტადი და აღქმადი გახდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.

2.2 სტანდარტთან მიმართებაში

სასურველია, არჩევითი საგნების მედიაციის სამართლის ბლოკი (მოდული) ითვალისწინებდეს შესაძლებლობას სტუდენტმა სხვა მოდულების მსგავსად აირჩიონ სასწავლო კურსები და შესაბამისად ფორმირება გაუკეთონ საკუთარ პროფილს ანუ მოდულის ერთი საგნის არჩევის შემთხვევაში სტუდენტმა სავალდებულოდ რომ არ გაიროს მედიაციის მოდულის ხუთივე კურსი.

2.3 სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია აკადემიური წერის კურსის შინაარსობრივი ნაწილი, მათ შორის დავალებების განხილვისა და შეფასების ნაწილს მთლიანად იურისტი პედაგოგების ხელმძღვანელობით წარიმართოს;
- სასურველია გადაიხედოს სამოსამართლო კერძო სამართლის კურსის სილაბუსი იმგვარად, რომ მიზანი და შედეგები რეალისტური და მიღწევადი იყოს, თემატიკა შესაბამისობაში იყოს კურსის საათობრივ დატვირთვასთან. (რეკომენდირებულია გამოიკვეთოს კურსის მიზანი უფრო მეტად კერძო სამართალში მყარად დადგენილი პრაქტიკის სრულად შესწავლაა თუ დადგენილი პრაქტიკის მოძიების, ეფექტიანად გამოყენების უნარის გამომუშავება ცალკეული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე).
- სასურველია „პრაქტიკულ კომპონენტსა“ და „იურიდიულ კლინიკის“ სილაბუსში სამოსამართლო ეთიკის სალექციო კომპონენტი სილაბუსში გაიწეროს თეორიული კურსის შესაბამის ფორმატში, აისახოს შესაბამისი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა თემატიკის შესაბამისად, იმისათვის რომ თვალსაჩინო იყოს და დამატებით კვლევას არ საჭიროებდეს პროგრამით გათვალისწინებული N5 და N 13 შედეგის მიღწევადობა.

2.4 სტანდარტთან მიმართებაში - აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის სულისკვეთების გათვალისწინებით სასურველი იქნება დამსაქმებლებთან ისეთი მემორანდუმების და შეთანმხებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, მიმართულებებსა და დასაქმების სავარაუდო ხანგძლივობას.

2.6 სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია სტუდენტებმა დროულად მიიღონ უკუკავშირი, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ;
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კონტექსტში მნიშვნელოვანია გამოირიცხოს ისეთი შესაძლებლობა, რომ დადებითი შეფასება მიიღოს ნაშრომმა, რომელშიც არსებითად დარღვეულია ან საერთოდ არ არის გამოყენებული ციტირება. აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები შესაბამისად გადაიხედოს, რათა პროგრამის N12 და N14 შედეგის მიღწევადობა უზრუნველყოფილი იყოს ამ კომპონენტით.

3.1 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია პროგრამის სილაბუსებში ზუსტად იყოს გაწერილი საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იქნება უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.

4.4 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია გაიზარდოს კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის დაფინასებაში სასწავლო რესურსების, კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო სტატიების, სპორტული და სხვა კურიკულუმის გარეშე ღონძიებების, სტიპენდიების/შეღავათების და გაცვლითი პროგრამების დაფინანსების ხვედრითი წილი;

5.1 სტანდარტთან მიმართებაში -პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი შიდა მექანიზმები წარმოდგენილია, როგორიც არის კითხვარები, თუმცა, გამოკითხვის შედეგები და მათი ანალიზი, ფაქტობრივად, კურსდამთავრებულებთან და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებასთნ მიმართბით არსებობს. სასურველია, სხვა მიმართულებებითც ანალოგიური მიდგომა იქნეს გამოყენებული სამომავლოდ.

5.2. სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია ხარისხის გარე შეფასება გაიმიჯნოს განმავითარებელი შეფასებისაგან და აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში.
- საბაკალავრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა პროგრამაფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

5.3 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია, პერიოდულადგანხორციელდესპროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია, რაც ასახულია პროგრამაში და შემდგომ - თვითშეფასების ანგარიშში. კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამას აქვს 5 მიზანი: ა) ექნება სიღრმისეული ცოდნა კერძო (ბიზნეს) სამართლის თანამედროვე ტენდენციების, გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ; ბ) შეძლებს კერძო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის ეფექტური გზების (მათ შორის ორიგინალური კვლევის საფუძველზე) დამოუკიდებლად განსაზღვრას და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავებას; დ) შეძლებს, პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში მონაწილეობას; ე) შეძლებს ეფექტურ კომუნიკაციას პროფესიულ და აკადემიურ აუდიტორიასთან აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; ე) იმოქმედებს ავტონომიურად, ეთიკის ნორმების დაცვით. მიზნებში წარმოდგენილია თუ რა ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. ბუნებრივია, პროგრამის მიზნებში განსაზღვრული კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადება, თავისთავად ასახავს იმ წვლილს, რასაც პროგრამის კურსდამთავრებული შეიტანს საზოგადოების განვითარებაში (მისი მიღწევის შემთვევაში). პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია, რომ პროგრამის გადამუშავებას საფუძვლად დაედო ფოკუს ჯგუფთან შეხვედრაც, სადაც კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრის შემდგომ შემუშვადა პროგრამის განვითარების ერთიანი გეგმა. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია (იხ.https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/samartlis-skola-654/programebi-656/httpsiliauniedugegestudymastersapplylaw-masters/kerdzo-biznes-samartlis-programa). ასევე, შრომის ბაზრის სრულფასოვანი ანალიზი, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის ფარგლებში, რთული განსახორციელებელია, თუმცა, კარგი იქნებოდა შესრულებულიყო საჯარო და კერძო სექტორისათვის გამოცხადებული იმ ვაკანსების და მოთხოვნების ანალიზი, რომელიც კერძო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულის დასაქმების პერსპექტივას ქმნის და რაც პროგრამის განვითარების კიდევ ერთ საფუძველს შექმნიდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა; • პროგრამის მიზნები; • თვითშეფასების ანგარიში; • ვებგვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილი იქნება თუ შესრულდება საჯარო და კერძო სექტორისათვის გამოცხადებული იმ ვაკანსიებისა და მოთხოვნების ანალიზი, რომელიც სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულის დასაქმების პერსპექტივას ქმნის და რაც პროგრამის განვითრების კიდევ ერთ საფუძველს შექმნიდა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგების ძირითად კომპონენტებს და მოიცავს მაგისტრატურის საფეხურისათვის შესაბამის ცოდნა-გაცნობიერების, უნარის, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ასპექტებს -შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თუმცა პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად სასურველია შემუშავდეს მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სადაც დეტალურად აისახება პროგრამის მიზნები როგორ შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედგებთან.

უნივერსიტეტმა განახორციელა შრომის ბაზრის ანალიზი, დამსაქმებელთა გამოკითხვები,რომელთა შედეგებიც აისახა სწავლის შედეგების შესაბამისად განსაზღვრაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიურირების შედეგებით დასტურდება პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შემუშავებაში სხვადასხვა დაინტერესებული პირების, მათ შორის დამსაქმებლებისა და აკადემიური პერსონალის, ჩართულობა.

პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვის მექანიზმი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტით, წარმოდგენილია, რაც შედეგების მიღწევის შეფასების შესაძლებლობის საფუძველს ქმნის, თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგები დასაკონკრეტებელია პროგრამის მიზნების შესაბამისად, რამდენადაც პროგრამის სწავლის შედეგებში, ფაქტობრივად, გადმოტანილია სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები. ბუნებრივია, სამართლის დარგობრივი მახასიათებელი მოთხოვნის გარკვეულ მინიმუმს აწესებს, მაგრამ პროგრამა, თავის შედეგებში, ერთი ერთში არ უნდა იმეორებდეს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების. შედეგად, სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები სრულად გადაიხედოს. რადგან, სწორედ სტუდენტის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.

სწავლის შედეგების გადახედვა აგრეთვე ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის უკეთ გაწერასა და პრაქტიკულ გამოყენებასაც, რაც, თავის მხრივ, თვითშეფასების ანგარიშშიც არის დაგეგმილი აქტივობების ნაწილში წარმოდგენილი.

პროგრამის სასწავლო ბადეში განსაზღვრული სასწავლო კურსები იძლევა კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის მომდევნო საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას.

კერძო (ბიზნეს) სამართლის საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომლის თანმიმდავრული და სრულფასოვანი იმპლემენტაცია არის დასკვნითი ფაზა სწავლის შედგების შეფასების და უმთავრესი ინდიკატორი იმის გასაზომად არის თუ არა პროგრამის სწავლის შედეგები ადექვატური არა მხოლოდ მასში შემავალ სასწავლო კურსებთან მიმართებით, არამედ პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან და უნდა ადასტურებდეს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და წარმოდგენილი მექანიზმი ერთგვარ შეუსაბამობაშია. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზშმი (გვ. 3) პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების დროდ აღებულია ერთი სრული ციკლის გასვლა (მე-3 სასწავლო წელი) და შემდგომ ყოველი მომდევნო წელი, თუმცა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული აქტივობით ამა თუ იმ სასწავლო კურსის შედეგის მიღწევის შეფასებას სემესტრულად, რაც, წარმოდგენილი გეგმის

მიხედვით, დაკავშირებულია პროგრამის სწავლის კონკრეტულ შედეგთან. შესაბამისად, შეფასება ხორციელდება სემესტრის განმავლობაში და არა სრული ციკლის დასრულების შემდგომ. აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ამ მიმართულებით გადაიხედოს, დაიხვეწოს და შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება/გაზომვის უკეთესს სტრუქტურულ მექანიზმს ჩამოაყალიბებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას ხდება სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის სამიზნე ნიშნულებთან დადარებით და შედეგების ანალიზით. თუმცა სასურველია, თუ სამიზნე ნიშნულების გამოთვლა/დადგენის საფუძველიც იქნება წარმოდგენილი, რადგან სამოავლოდ, სამიზნე ნიშნულების მონიტორინგის მიზნით მოპოვებული მონაცემების ანალიზის შედეგები სწორედ მიმდინარე სამიზნე ნიშნულთან უნდა დადარდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის სწავლის შედეგები; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და მექანიზმი; • თვითშეფასების ანგარიში; • სამიზნე ნიშნულები
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია, გადაიხედოს კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის ყველა შედეგი; • რეკომენდირებულია რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა გადაიხედოს სწავლის შედეგებთან ერთად;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია შემუშავდეს მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სადაც დეტალურად აისახება პროგრამის მიზნები როგორ შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედგებთან. • სწავლის შედეგების მიღწევის დონის სამიზნე ნიშნულებთან დადარებისა და შედეგების ანალიზს გაუმჯობესების მხრივ სასურველია მკაფიოდ განისაზღვორს სამიზნე ნიშნულების გამოთვლა/დადგენის საფუძველი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, სამართლიანია, საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული წინაპირობები და პროცედურა განისაზღვრება პროგრამით. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს: ➢ სამართლის ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ▪ დადებითი შედეგით დაძლევს საერთო სამაგისტრო გამოცდებს;

- ჩააბარებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს - სპეციალობასა და ინგლისურ ენაში(B2 დონეზე). გამოცდა შემდეგი ფორმატისაა: სპეციალიზაციაში - კერძო სამართალი (50 % - 30% კაზუსი, 20% ესსე); ინგლისურის გამოცდა B2 დონე (25 %) და ზეპირი გამოცდა (გასაუბრება) (25%). გასაუბრებისას კანდიდატს გამოკითხავენ როგორც პროგრამით გათვალისწინებული საკითხებს, ასევე მის მოტივაციას პროგრამისადმი საკუთარი ინტერესისა თუ სამომავლო პროფესიული/კარიერული ზრდის პერსპექტივის შესახებ.

➢ სამართლის ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეს/უცხო ქვეყნის მოქალაქეს:
  - ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

➢ მაგისტრატურის სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხება პროგრამაზე სხვა უსდ-დან გადასვლის წესით საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად.

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები რეგულირდება „კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემის“ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც წამროაგდენს პროგრამის დანართს; ამ დოკუმენტით დეტალურად არის გაწერილი შეფასების კრიტერიუმები და წესი. წესში რამოდენიმე ტექნიკური უზუსტობაა, რაც სასურველია გასწორდეს. 1. პირველ აბზაცში სპეციალიზაციის საგნის გამოცდის გასწვრივ მითითებულია - სისხლის სამართალი კერძო სამართლის ნაცვლად 2. 25% ინგლისურის გამოცდის გასწვრივ უთითებს 25% -30 ქულა, თუმცა იქვე სქემაში მითითებული მაქსიმალური ქულა 25. 3. ზეპირი გასაუბრების მაქსიმალური ქულა 25% -25 ქულაა, თუმცა შემდგომ დეტალურად ჩაშლილ კომპონენტებში ქულათა ჯამი 30-ია.

პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია დეტალურად ასახულია მიღების დოკუმენტში. მიღებასთან დაკავშირებული ინფორმაციაყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე და ცნობარში. პროგრამაზე მიღების ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PR-ის სამსახურის მხარდაჭერით, ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამისთვის შექმნილია საინფორმაციო ბუკლეტები მაგისტრანტობის მსურველთათვის.

პროგრამის დაშვების წინაპირობი ხელმისაწვდომია საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო (ბიზნეს) სამართალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კერძო (ბიზნეს) სამართალი პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა
- უსდ-ს ვებგვერდი
- უსდ-ს საინფორმაციო ბუკლეტები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემის დოკუმენტში უნდა გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები, რათა დაინტერესებული პირებისთვის უფრო განჭვრეტადი და აღქმადი გახდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურების შესაბამისად მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს (*დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 2.1. სტანდარტი*), სწავლის შედეგებსა (*დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 1.2. სტანდარტი*) და სტრუქტურას. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, კერძოდ, კურიკულუმი მოიცავს 120კრედიტს (1კრედიტი უტოლდება სტუდენტის დატვირთვის 25 საათს) და შედგება შემდეგი მოდულებისაგან: ➢ სავალდებულო კომპონენტი- 84 კრედიტი

- *სავალდებულო სასწავლო კურსები* (36 კრედიტი) - 6 კრედიტიან 6 სასწავლო კურსს.
- სავალდებულო სასწავლო კურსებია:
- აკადემიური წერა იურისტებისათვის;
- შედარებითი საკორპორაციო სამართალი
- მედიაციის სამართლებრივი რეგულირება
- საგადასახადოსამართლისთანამედროვეგამოწვევები
- შედარებითიკერძოსამართალი
- *სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტი* (ჯამში 48 კრედიტი):
  - *პრაქტიკული კომპონენტი* (18კრედიტი) - ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად სწავლების მესამე სემესტრში. სტუდენტს შეუძლია გაიაროს პრაქტიკული კომპონენტი კერძო სამართალში ან იურიდიული კლინიკა. კურსები წარიმათება როგორც სალექციო ფორმატში ასევე პრაქტიკული სამუშაოების ფორმატში. კურსი სრულად ორიეტირებულია კერძო სამართალში პრაქტიკოსი იურისტისათვის საჭირო უნარების გამომუშავებაზე. ლექციები ყოველკვირეულად თემატიკის მიხედვით მიმართულების შესაბამისი პრაქტიკის მქონე სხვადასხვა ექსპერტის მიერ ტარდება. კლინიკას ყავს ხელმძღვანელი ზედამხედველი იურისტი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.
- *სამაგისტრო ნაშრომი* (30 კრედიტი) - ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად სწავლების მეოთხე სემესტრში.

➢**არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი** (36 კრედიტი) - მოიცავს სასწავლო კურსებს, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს მისი ინტერესის შესაბამისი მიმართულებით კერძო სამართლის შესაბამის დარგში მიიღოს/გაიფართოვოს ცოდნა; არჩევითი სასწავლო კურსები დაყოფილია ოთხ ბლოკად: - საკორპორაციო სამართლის ბლოკი; საფინანსო სამართლის ბლოკი; საერთაშორისო და შედარებითი კერძო სამართლის ბლოკი და მედიაციის ბლოკი.

მედიაციის ბლოკი მოიცავს შემდეგ კურსებს: კომერციული არბიტრაჟი, Online Mediation, მოლაპარაკებები, კონფლიქტების მართვის პრაქტიკუმი, მედიაციის პრაქტიკუმი. თითოეული კურსისათვის გათვალისწინებულია 6 კრედიტი. სტუდენტის მიერ ერთ-ერთ კურსის არჩევის შემთხვევაში სტუდენტმა სავალდებულოდ უნდა გაიროს მედიაციის მოდულის ხუთივე კურსი და დააგროვოს 30 კრედიტი. მედიაციის ბლოკი შემუშავებულ იქნა ERASMUS+ პროექტის MEDIATS:Training and Society Transformation ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს წარჩინებულ სტუდენტთა სტაჟირებას ესპანეთსა და ნიდერლანდებში.

საკორპორაციო სამართლის ბლოკი მოიცავს შემდეგ კურსებს: საწარმოთა რეორგანიზაცია შედარებითსამართლებრივ პერსპექტივაში (Mergers & Acquisitions (Reorganization of Private Entities based on Comparative Legal Analysis), European and European Union Company law, ,,რეგულირების ზეგავლენის შეფასება (Regulatory Impact Assessment (RIA))" და შრომის სამართლის თანამედროვე გამოწვევები. თითოეული კურსისათვის გათვალისწინებულია 6 კრედიტი. სულ სტუდენტს აქვს 24 კრედიტის მიღების შესაძლებლობა აღნიშნულ ბლოკში.

საფინანსო სამართლის ბლოკი მოიცავს შემდეგ კურსებს: მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი და სასამართლო პრაქტიკა, Public Contracts (ინგლისურენოვანი) და ფინანსური ბაზრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების სამართლებრივი რეგულირება, თითეოული კურსისათვის გათვალისწინებულია 6 კრედიტი. სულ სტუდენტს აქვს ამ ბლოკში 18 კრეტიდის მიღების შესაძლებლობა.

საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ბლოკი მოიცავს შემდეგ კურსებს: ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე ევროკავშირთან, საერთაშორისო ბიზნეს

სამართალი, სამოსამართლო კერძო სამართალი, შედარებითი კონკურენციის სამართალი, გადაწყვეტილების მიღების ტექნიკა - რელაცია. თითოეული კურსისათვის გათვალისწინებულია 6 კრედიტი, სტუდენტს აღნიშნულ ბლოკში აქვს 30 კრედიტის მიღების შესაძლებლობა. ამდენად, სასწავლო კომპონენტების კრედიტების ჯამური მოცემულობა შეესაბამება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის კანონმდებლობით დადგენილ კრედიტების გადანაწილების მოცულობას და უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის დაინტერესების მიხედვით სასწავლო კურსების არჩევითობა, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს საკუთარი არჩევანის მიხედვით განავითაროს საკუთარი პროფილი. თუმცა, მედიაციის მოდულის (ბლოკის) ფარგლებში პროგრამის სტუდენტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, სხვა მოდულების მსგავსად აირჩიონ სასწავლო კურსები და შესაბამისად ფორმირება გაუკეთონ საკუთარ პროფილს, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდულიითვალისწინებდეს იგივე წესს როგორც ეს მოცემულია სხვა სამართლის ბლოკებში რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს მეტი არჩევანი გააკეთოს კერძო სამართლის ნებისმიერი მიმართულებით და მისი ინტერესის შესაბამისად მიიღოს შესაბამისი ცოდნა. პროგრამის სწავლის შედეგების რუკა აღწერს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სასწავლო კურსების ურთიერთმიმართებას. აღნიშნულ რუკაზე დაყრდნობით, აკრედიტაციის მიზნით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიუს შედეგებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროგრამა განხორციელდება მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პროგრამის საფუძველზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ამასთან, პროგრამის შინაარსის თანმიმდევრობა, თეორიულიდან უფრო პრაქტიკულისკენ განვითარება უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. საბოლოო ჯამში, წარმოდგენილი პროგრამა მოცულობით და კომპლექსურობით შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია სამართლის მაგისტრის კვალიფიკაციასთან, ხოლო პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა • სილაბუსები • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და წესი; • თვითშეფასების ანაგარიში • პროგრამის სწავლის შედეგების რუკა • გამოკითხვის შედეგები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, არჩევითი საგნების მედიაციის სამართლის ბლოკი (მოდული) ითვალისწინებდეს შესაძლებლობას სტუდენტმა სხვა მოდულების მსგავსად აირჩიონ

სასწავლო კურსები და შესაბამისად ფორმირება გაუკეთონ საკუთარ პროფილს ანუ მოდულის ერთი საგნის არჩევის შემთხვევაში სტუდენტმა სავალდებულოდ რომ არ გაიროს მედიაციის მოდულის ხუთივე კურსი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროსთითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სასწავლო გეგმის, პროგრამის კურიკულუმის რუკითა და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ სწავლის შედეგები აკმაყოფილებს სამაგისტრო საფეხურისთვის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ცალკეული სასწავლო კურსების, პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების ერთობლიობა კი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგს. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული საგნის დატვირთ ვაგამოიხატება კრედიტების სისტემაში (1 (ECTS) კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელ სამუშაო დროს), ხოლო კრედიტების რაოდენობა თითოეული სასწავლო კურსის შემთხვევაში განსაზღვრულია ამ კონკრეტული საგნის სპეციფიკის, მოცულობისა და მისი შესწავლისათვის აუცილებელი დროის გათვალისწინებით.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი იძენს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სამაგისტრო საფეხურისათვის დადგენილ ცოდნასა და უნარებს. პრაქტიკული კომპონენტის თვალსაზრისით პროგრამა მოიცავს ცალკე მდგომ პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც პრაქტიკის სახით ხორციელდება და ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებშიც ჩაშენებულია პრაქტიკული უნარების განმავითარებელი აქტივობები, მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების ტექნიკა-რელაცია, კონფლიქტების მართვის პრაქტიკუმი და სხვა.

ზოგიერთი სილაბუსი ტექნიკურად გაუმართავია და შეიცავს მთელ რიგ უზუსტობებს შეფასების ნაწილში (იხ .2.6 სტანდარტი). ზოგან კი სხვა ტიპის პრობლემას ვაწყდებით. მაგალითად „აკადემიური წერა იურისტებისათვის“ სილაბუსის შინაარსი, სტრუქტურა და მეთოდოლოგია შეესაბამება საუკეთესო პრაქტიკას. თუმცა კურსის განმახორციელებელი პერსონალი წარმოდგენილია როგორც იურისტი ისე არაიურისტი პედაგოგოებისაგან, რამაც შესაძლოა სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტიანობაზე თუ ხარისხზე მოახდინოს გავლენა.

სასწავლო კურსის - „სამოსამართლო კერძო სამართალი“ სილაბუსით დასახული მიზანი და შედეგი საკმაოდ ფართო და ყოვლისმომცველია; სილაბუსით გათვალისწინებული თემატიკა ფარავს კერძო სამართლის ყველა ძირითად საკითხს როგორც მატერიალური ასევე საპროცესო სამართლიდან, მოცავს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე საპროცესო თემატიკას. დასაფიქრებელია, რამდენად რეალისტურია დაიფაროს ყველა ეს თემატიკა გათვალისწინებული ლექციისა და დატვირთვის ფარგლებში და რამდენად მიღწევადია სილაბუსით დასახული მიზანი.

„პრაქტიკული კომპონენტისა“ და „იურიდიული კლინიკის“ სილაბუსებით გათვალისწინებულია სამოსამართლო ეთიკის სალექციო კომპონენტი (8-10 საათის ფარგლებში), რომელიც მოიცავს სამოსამართლო ეთიკის ძირითად საკითხებს და მათ შორის ამ თემატიკას ეთმობა 12 ქულიანი წერითი დავალება. სალექციო კომპონენტი არ არის გაწერილი თეორიული კურსის შესაბამისი სილაბუსის ფორმატში, მასში არ არის გაწერილი შესაბამისი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა თემატიკის შესაბამისად სალექციო ფორმატში.

სასწავლო კურსის სილაბუსების მიხედვით ირკვევა, რომ შერჩეული სასწავლო სახელმძღვანელოები და შეთავაზებული ელექტრონული ლიტერატურა ძირითადად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ორიენტირებულია დარგის თანამედროვე მიღწევებზე და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებით განსაზღვრული სასწავლო მასალები წარმოდგენილი და ხელმისაწვდომია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო (ბიზნეს) სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია აკადემიური წერის კურსის შინაარსობრივი ნაწილი, მათ შორის დავალებების განხილვისა და შეფასების ნაწილს მთლიანად იურისტი პედაგოგების ხელმძღვანელობით წარიმართოს; • სასურველია გადაიხედოს სამოსამართლო კერძო სამართლის კურსის სილაბუსი იმგვარად, რომ მიზანი და შედეგები რეალისტური და მიღწევადი იყოს, თემატიკა შესაბამისობაში იყოს კურსის საათობრივ დატვირთვასთან. (რეკომენდირებულია გამოიკვეთოს კურსის მიზანი უფრო მეტად კერძო სამართალში მყარად დადგენილი პრაქტიკის სრულად შესწავლაა თუ დადგენილი პრაქტიკის მოძიების, ეფექტიანად გამოყენების უნარის გამომუშავება ცალკეული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე). • სასურველია „პრაქტიკულ კომპონენტსა“ და „იურიდიულ კლინიკის“ სილაბუსში სამოსამართლო ეთიკის სალექციო კომპონენტი სილაბუსში გაიწეროს თეორიული კურსის შესაბამის ფორმატში, აისახოს შესაბამისი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა თემატიკის შესაბამისად, იმისათვის რომ თვალსაჩინო იყოს და დამატებით კვლევას არ საჭიროებდეს პროგრამით გათვალისწინებული N5 და N 13 შედეგის მიღწევადობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა სწავლის შედეგების და საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას პროგრამაში არსებული პრაქტიკული კურსებით, სამაგისტო ნაშრომით და პრაქტიკით.

უნივერსიტეტის მონაწილეობს და ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კონფერენციებს;

მაგისტრატურის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამ საქმიანობაში მათთვის საინტერესო სფეროების გათვალისწინებით. უნივერსიტეტი ფარავს სტუდენტების მიერ მომზადებული სტატიების საგამომცემლო ხარჯებს და ხელს უწყობს მათ სხვადასხვა საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებას. უმჯობესი იქნება თუკი უნივერსიტეტი ცალკე გამოყოფს ბიუჯეტს იმ სტუდენტებისათვის რომლებიც დაინტერესდებოდნენ საერთაშორისო კვლევებით.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამაში გამოყენებულია ცალკე მდგომი პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც მოცავს პრაქტიკული კომპონენტი კერძო სამართალში ან იურიდიული კლინიკა ალტერნატივის სახით სავალდებულო კურსია. კურსები წარიმათება როგორც სალექციო ფორმატში ასევე პრაქტიკული სამუშაოების ფორმატში. ლექციების ზოგიერთი თემატიკა საერთოა. კურსი სრულად ორიეტირებულია კერძო სამართალში პრაქტიკოსი იურისტისათვის საჭირო უნარების გამომუშავებაზე. ლექციები ყოველკვირეულად თემატიკის მიხედვით მიმართულების შესაბამისი პრაქტიკის მქონე სხვადასხვა ექსპერტის მიერ ტარდება. კლინიკას ჰყავს ხელმძღვანელი ზედამხედველი იურისტი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.

პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებაზეა ორიენტირებული კურსები თემატიკისა და სწავლების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით: სასამართლო საწარმოთა რეორგანიზაცია შედარებითსამართლებრივ პერსპექტივაში, ,,რეგულირების ზეგავლენის შეფასება, შრომის სამართლის თანამედროვე გამოწვევები, მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი და სასამართლო პრაქტიკა, Public Contracts (ინგლისურენოვანი), ფინანსური ბაზრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების სამართლებრივი რეგულირება, საერთაშორისო ბიზნეს სამართალი, სამოსამართლო კერძო სამართალი, გადაწყვეტილების მიღების ტექნიკა - რელაცია, კომერციული არბიტრაჟი, Online Mediation, მოლაპარაკებები, კონფლიქტების მართვის პრაქტიკუმი, მედიაციის პრაქტიკუმი.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებს. მაგისტრანტი არსებული რეგულაციების გათვალისწინებით თავად ირჩვეს ნაშრომის სახელწოდებას და ხელმძღვანელს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ეტაპობრივად შეამოწმოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი, ჩაუტაროს სტუდენტს კონსულტაციები და მისცეს მას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და მითითებები, გამოთქვას შენიშვნები და მოსაზრებები, დაეხმაროს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში. არაუგვიანეს მე-13 კვირისა მაგისტრანტი დასრულებული სამაგისტრო ნაშრომის პირველად ვერსიას ტვირთავს Moodle-ზე (http://moodle.iliauni.edu.ge), სადაც ხელმძღვანელი ამოწმებს ნაშრომს პლაგიატზე და აძლევს სტუდენტს საბოლოო რეკომენდაციებს ნაშრომის შინაარსობრივი და ტექნიკური კუთხით გასამართად. ხელმძღვანელის უკუკავშირის შედეგად რედაქტირებული ნაშრომის დასრულებულ ვარიანტს სტუდენტი Moodle-ზე ტვირთავს არაუგვიანეს მე-15 კვირის დასასრულისა, ხოლო დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ (Word ფორმატში ჩაწერილი CD დისკზე) და ამობეჭდილ (ორი ეგზემპლარი) ვერსიებს სტუდენტი ამავე კვირაში წარუდგენს სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორს.

Moodle-ზე ატვირთულ, დასრულებულ ნაშრომს ხელმძღვანელი პროგრამა Turnitin-ის საშუალებით ამოწმებს პლაგიატზე, და ამზადებს დასკვნას ნაშრომის შესრულების პროცესთან, ნაშრომის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის

მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და ადასტურებს ამავე ნაშრომის მზადყოფნას დაცვისთვის არაუგვიანეს საგამოცდო პერიოდის პირველი კვირის დასრულებისა. სამაგისტრო ნაშრომი დასკვნასთან ერთად, სამართლის სკოლის ადმინისტრაციის მიერ ეგზავნება სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის კომისიას. სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტი დეტალურად აწესრიგებს ზემოაღნიშნულ საკითხებს. უსდ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები დამსაქმებელთან, თუმცა აღნიშნული დოკუმენტებიარის ზოგადი ხასიათის ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩო და არ უთითებენ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, ასევე, პრაქტიკის მიზანს/მიმართულებას და ხანგრძლივობას. მიუხედავად იმისა რომ პროგრამა არ ითვალისწინებს ე.წ „გარე პრაქტიკას“ რომელიც გულისხმობს განსახორციელებლად რელევანტური პარტნიორი ორგანიზაციებისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პირობების განისაზღვრას ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტით, რომელიც დეტალურად აღწერდა მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის, სტუდენტების სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე რომ აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის სულისკვეთების გათვალისწინებით სასურველი იქნება ისეთი მემორანდუმების და შეთანმხებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, მიმართულებებსა და დასაქმების სავარაუდო ხანგძლივობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა; • სილაბუსები; • სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტი; • დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები; • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის სულისკვეთების გათვალისწინებით სასურველი იქნება დამსაქმებლებთან ისეთი მემორანდუმების და შეთანმხებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, მიმართულებებსა და დასაქმების სავარაუდო ხანგძლივობას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐**<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

კერძო (ბიზნეს) სამაგისტრო პროგრამა გამოირჩევა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდებით. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებელი სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის საფეხურს, კურსის შინაარსს, უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლა/სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი აქტივობები: ვერბალური ახსნა-განმარტება, ანალიზი, დედუქცია, ანალიზი, დისკუსია/დებატები, სასამართლო პრცესზე დასწრება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა.

სწავლა- სწავლების მეთოდების ეფექტიანობის შესამოწმებლად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა.

გათვალისწინებულია სტუდენტთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, აკადემიური მომზადების დონის, ადაპტირებული გარემო-შშმ და სსსმ პირებისათვის, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრინციპები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა.

კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები შესაბამისად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და ამ პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში კი შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ასევე სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც.

პროგრამა ორიენტირებული პრაქტიკული საქმიანობაზე, რათა სტუდენტს შეეძლოს კონკურენტუნარიანი იყოს შრომის ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ სწავლის მეთოდები მაგისტრატურის დონეს შეესაბამება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა; • სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს (კერძო) სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, სტუდენტთა შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

უფრო კონკრეტულად, სტუდენტების შეფასება ხდება ორი კომპონენტის მიხედვით - სასწავლო კომპონენტისა და შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის მიხედვით. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3 2007.05.01).

სასწავლოკომპონენტის შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს.

სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ასევე, ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ხოლო სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სკალა:

A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

(FX) ვერჩააბარა – 41-50 ქულა

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ დადგენილი პროცედურების მიხედვით, კერძოდ, შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტის ცოდნისა და უნარების გაზომვას და ამ გზით სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. წარმოდგენილი სამართლის საგანმანათლებლო პროგრამით, დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს, რომელთა საშუალებით დგინდება, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ყველა სილაბუსში ახსნილი და განმარტებულია შეფასების თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები. სილაბუსებში მითითებულია შეფასების მეთოდები, რაც თითოეული კომპონენტის მიხედვით სწავლის შედეგის მიღწევას მეტწილად უზრუნველყოფს. თუმცა, გვხდება ზოგიერთი სილაბუსი, მაგალითად, პრაქტიკული კომპონენტი - კერძო სამართალში ან იურიდიული კლინიკა სადაც შეფასების

კრიტერიუმები და პირობები დეტალურად არ არის განმარტებული ან/და შეფასებებში ქულების რანჟირება დიდია.

ხვდება სხვა ტიპის პრობლემებიც სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის დამუშავება და დაცვა პროგრამის სავალდებულო კომპონენტია და ითვალისწინებს 30 კრედიტს. სამაგისტრო ნაშრომისათვის დადგენილი შეფასების კრიტერიუმების თანახმად ნაშრომში ციტირების წესის დაცვისათვის გათვალისწინებულია 5 ქულა 100 დან, რაც ტოვებს შესაძლებლობას სტუდენტმა მიიღოს დადებითი შეფასება სამაგისტრო ნაშრომსა და მის დაცვაში იმგვარად, რომ ციტირება საერთოდ არ იყოს ნაშრომში მოცემული ან არსებითად ხარვეზიანი იყოს.

ამდენად, მნიშვნელოვანია, შესაბამისად მოდიფიცირდეს ზოგადად სილაბუსების გადამუშავების პროცესში შეფასების სისტემა, რაც გაფილტრავს როგორც ტექნიკურ შეცდომებს, ასევე ქულათა რანჟირებას გახდის უფრო გასაგებს სტუდენტებისათვის. შეფასების გზების დეტალური გამართული აღწერა, არამხოლოდ ლექტორისათვის არის ობიექტური შეფასების საფუძველი, არამედ სტუდენტსაც უნდა აძლევდეს საშუალებას, მკაფიოდ დაინახოს განსხვავება შეფასებებში და მიუსადაგოს საკუთარ ნაშრომს/ შეცდომებს.

დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიურების დროს გამოირკვა, რომ პრაქტიკაში სტუდენტები გვიან იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ; სასურველია ეს გამოსწორდეს და შეფასება განხორციედეს დროულად, რასაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის რეგულაციებიც.

უნივერსიტეტში შემუშავებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდის გასაჩივრების პროცედურა. სტუდენტის მიერ გასაჩივრებული ნაშრომი, საჭიროების შემთხვევაში, ხელმეორედ ფასდება სამწევრიანი კომისიის მიერ. ინტერვიუირების პროცესში სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში შეფასების გასაჩივრების პროცედურასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ. გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ შეფასების დროულად მიღების შესაძლებლობა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების სტანდარტთან შესაბამისობის დასადგენად, კერძოდ, უნივერსიტეტში შეფასებისთვის ლექტორს აქვს წინასწარ განსაზღვრული კონკრეტული ვადა, რომლის მონიტორინგიც აქტიურად ხორციელდება ადმინისტრაციის მიერ.

ამასთან, უზრუნველყოფილია შეფასების უკუკავშირის მიღების შესაძლებლობაც. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, მათ შორის, საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, სწავლის შედეგების გაუმჯობესების გზებზე და ა.შ. აღნიშნულის მისაღწევად აქტიურად გამოიყენება "არგუსის" სისტემა.

ამასთან, დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. აღნიშნული დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგებით. შესაბამისად, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კერძო (ბიზნეს) სამართლისსამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამა;
- სილაბუსები;
- არგუსი - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა: http://argus.iliauni.edu.ge/

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების ჩამონათვალი შესახებ დოკუმენტი;
- „აკადემიური პერსონალის და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის“ დებულება; უნივერსიტეტის ვებგვერდი.http://iliauni.edu.ge/
- სამართლისსკოლა BA/MA პროგრამებისშეფასება 2018;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია სილაბუსებში მკაფიოდ და ამომწურავად იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კონტექსტში მნიშვნელოვანია გამოირიცხოს ისეთი შესაძლებლობა, რომ დადებითი შეფასება მიიღოს ნაშრომმა, რომელშიც არსებითად დარღვეულია ან საერთოდ არ არის გამოყენებული ციტირება. აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები შესაბამისად გადაიხედოს, რათა პროგრამის N12 და N14 შედეგის მიღწევადობა უზრუნველყოფილი იყოს ამ კომპონენტით.
- სასურველია სტუდენტებმა დროულად მიიღონ უკუკავშირი, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალურიმ უშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას. უნივერსიტეტი სხვადასხვა მეთოდით უზრუნველყოფს მაგისტრანტების ინფორმირებას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევის გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ. სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. თუმცა სილაბუსებით არ არის გათვალისწინებული საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია, რისი გათვალისწინების შემთხვევაშიც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ. სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა ”არგუსი”, სადაც ხორციელდება სტუდენტთა რეგისტრაცია სასწავლო კურსებზე, მათთვის ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების განთავსება. ასევე “არგუსის” მეშვეობით ხდება მიღებული შეფასებებსა და დაგროვებული კრედიტების შემოწმება სტუდენტთა მიერ. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, „არგუსის“ საშუალებით მთელი წლის განმავლობაში ჰქონდეთ კონტაქტი სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან, მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია და უკუკავშირი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ლექტორთან ინდივიდუალური კონსულტაციები ინიშნება სტუდენტის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური წერის ცენტრი, რომლის სერვისებიც ხელმისაწვდომია ამავე უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტისთვის.
უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი, სადაც სტუდენტებს მოემსახურებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამების, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული პროფესიონალები უახლესი მტკიცებულებითი მეთოდების გამოყენებით, რეგულარული სუპერვიზიის თანხლებით. საკონსულტაციო ცენტრს შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა სტუდენტმა, რომელსაც ესაჭიროება დახმარება და მხარდაჭერა ისეთ გავრცელებულ ფსიქო-სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: შფოთვა, დაქვეითებული გუნება-განწყობილება, სხვადასხვაგვარი შიში, ურთიერთობის პრობლემები, სტრესის შედეგად განვითარებული მდგომარეობა და ა.შ.
უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდაა ორიენტირებული სტუდენტის ინფორმირებულობის გაზრდაზე ნებისმიერი მიმართულებით. ცენტრი დასაქმებისა და კარიერული განვითარების კუთხით ყოველწლიურად მართავს დასაქმების ფორუმებს, ხოლო პროფესიული გამოცდილების ამაღლების მიზნით აორგანიზებს სტუდენტურ პროექტებს, მასტერკლასებსა თუ საჯარო ლექციებს. უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან, გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები მათ შორის სხვადასხვა საადვოკატო ბიუროსთან, ასევე საჯარო სამსახურებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების პროფესიულ განვითარებას სტაჟირებების გავლისა და მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების ჩატარების გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასებისანგარიში;
- სილაბუსები.
- ილიას სახელმწიფო უნივერსტეტის ვებ გვერდი: www.iliauni.edu.ge
- არგუსი - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა: http://argus.iliauni.edu.ge/
- სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება;
- საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება;
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები;
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებ გვერდი: http://writingcentre.iliauni.edu.ge/

ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის სილაბუსებში ზუსტად იყოს გაწერილი საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იქნება უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო ვპროგრამაის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტის მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა, ჰყავდეთ სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მქონე კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც მიღებული აქვს მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები სტუდენტის საკვლევ თემასთან დაკავშირებით. ამასთან, მაგისტრანტს შეუძლია, ჰყავდეს მოწვეული თანახელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი ხორციელდება სასემინარო მეცადინეობის ფორმატში, რომელიც ხელს უწყობს კომპონენტის დაგეგმვასთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების სისტემატიზაციას. ამასთან, ის ემსახურება ეფექტური სუპერვიზიის ხელშეწყობას, რაც, ერთი მხრივ, აისახება სტუდენტის ჩართულობაზე მიმდინარე შედეგებისა და პროცესების დისკუსიაში, ანალიზსა და რეფლექსიაში, ხოლო, მეორე მხრივ, ხელმძღვანელს აძლევს შესაძლებლობას, ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული პროცესები გახადოს სტრუქტურირებული და შედეგზე ორიენტირებული. ნაშრომზე მუშაობისას გამოიყენება სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: სემინარი, ინდივიდუალური მუშაობა, დისკუსია, ანალიზი და სინთეზი, პრაქტიკული მუშაობა, რეფლექსია და სუპერვიზია. სამეცნიერო ხელმძღვანელს მჭიდრო კომუნიკაცია აქვს სტუდენტებთან ნაშრომზე მუშაობის პროცესში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ნაშრომის მომზადებისას თითოეული ეტაპი განიხილონ თემის ხელმძღვანელთან. თავდაპირველად თანხმდება თემის სათაური, შემდეგ კი - სტრუქტურა, შინაარსი, დგება სამუშაო ვერსია და ა.შ. ამასთანავე, დადგენილია ზღვრული ოდენობა იმისა, თუ რამდენი თემის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა აქვს ლექტორს.

მნიშვნელოვანია უსდ-მ გააძლიეროს სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება იმის თაობაზე, თუ რამდენად კმაყოფილი არიან ისინი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობით. ასეთი უკუკავშირის მეშვეობით დგინდება, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მიმდინარეობს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • სილაბუსები; • სწავლის ხარისხის შეფასება • ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან - მათ შორის - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია უსდ-მ გააძლიეროს კვლევის პროცესში სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება იმის თაობაზე, თუ რამდენად კმაყოფილი არიან ისინი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 1 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი 18 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 23. კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება 110 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის - სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობა არის დაახლოებით 0,2; აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის0,04. აღნიშნული მონაცემები სამაგისტრო საფეხურისათვის საშუალო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვეს დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამართლის სამაგისტრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მეტწილად დაკომპლექტებულია დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებით. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ბიოგრაფიებით ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების უმეტესობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო თვალსაზრისით აქტიურია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ განხორციელებული აქვთ სამეცნიერო კვლევები და გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

უნივერსიტეტში დანერგილია და წარმატებით მუშაობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების, თვითშფასების და განვითარების სქემა, რომელიც ერთი მხრივ ხდება სტუდენტის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებას, ასევე თავად აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება, ასევე პერსონალის კმაყოფილების კვლევა. ამასთანავე, ხორციელდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება და ანალიზის საფუძველზე ისახება გაუმჯობესების გზები, არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელიც ემსახურება მათი პროფესიული და პედაგოგიური უნარების განვითარებას.

უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესწავლისას იკვეთება, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ისეთი ხარჯები, რომელიც მიმართულია უსდ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი რომელიც ყოველწლიურად ატარებენ სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმი. უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის ანგარიში
- ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტის პროგრამით კმაყოფილების კვლევის მექანიზმი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის აკადემიური თანამდებობების მქონე პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) საქმიანობის შეფასების წესი.
- გამოკითხვის ფორმები
- გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი მოძებნა. უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. უნივერსიტეტს აქვს იმიტირებული სასამართლო დარბაზი, სადაც სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, იმიტირებული სასამართლო პროცესები რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინფრასტრუქტურის online დათვალიერება; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტროპროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია, იგი მომგებიანია და არ უწევს უნივერსიტეტს დოტაციაზე ყოფნა. არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისათვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ უწევს დამატებითი ფინანსების გაღება პროგრამის განხორციელებისთვის. სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) ბიუჯეტი ემსახურება როგორც აკადემიური/ მოწვეული პერსონალის კვლევების განვითარებას ასევე მობილობის პროცესის

ხელშეწყობას და იგი ორიენტირებულია სტუდენტთა საჭიროებებზე. თუმცა ხელფასის ხვედრითი წილი სამართლის სკოლის ბიუჯეტში შეადგენს 980,800 ლარს (94,7%-ს) 1,035,000 ლარიდან. პროექტების დაფინასებაზე კი გათვალისწინებულია მხოლოდ 10,000 ლარი, რაც პროპორციულად მცირე თანხაა და შეადგენს მთლიან ბიუჯეტის 0,97%-ს. თუმცა ინტერვიუს დროს აღინიშნა რომ განვითარებისათვის გათვალისწინებული დამატებითი დაფინასება (16,000 ლარი) გათვალისწინებულია არა ფაკულტეტის არამედ უნივერსიტეტის ბიუჯეტში. თუმცა ერთობლიობაშიც ამ თანხის ოდენობა არ სცდება სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) მთლიანი ხარჯის 2,88%-ს; უნივერსიტეტს მოპოვებული აქვს გრანტები, რომელიც გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის მაგრამ ასახული არაა ბიუჯეტში. მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონსტიტუციო სამართლისა და ადამიანის უფლებების კლინიკა, რომელიც ფოკუსირებულია საკონსტიტუციო სამართლისა და ადამიანის უფლებების სფეროში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და სოციალურად დაუცველი, დისკრიმინაციის ან/და ძალადობის მსხვერპლი მოქალაქეების საქმეების სამართალწარმოებაზე, დაფუძნდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (USAID/PROLoG)პროგრამის თანამშრომლობის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ სკოლის ბიუჯეტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია გაიზარდოსკერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის დაფინასებაში სასწავლო რესურსების, კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო სტატიების, სპორტული და სხვა კურიკულუმის გარეშე ღონძიებების, სტიპენდიების/შეღავათების და გაცვლითი პროგრამების დაფინანსების ხვედრითი წილი;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐**<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან. ხისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენების შედეგები წარედგინება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს. წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია გამოკითხვის ფორმები და მაგალითად, კურსდამთარებულთა კვლევის ანგარიშები. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარე. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სწავლის ხარისხის შეფასების მექანიზმი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი შიდა მექანიზმები წარმოდგენილია, როგორიც არის კითხვარები, თუმცა, გამოკითხვის შედეგები და მათი ანალიზი, ფაქტობრივად, კურსდამთავრებულებთან და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებასთნ მიმართბით არსებობს. სასურველია, სხვა მიმართულებებითც ანალოგიური მიდგომა იქნეს გამოყენებული სამომავლოდ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- გამოკითხვის ფორმები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში;
- სერვისების შეფასება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი შიდა მექანიზმები წარმოდგენილია, როგორიც არის კითხვარები, თუმცა, გამოკითხვის შედეგები და მათი ანალიზი, ფაქტობრივად, კურსდამთავრებულებთან და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებასთნ მიმართბით არსებობს. სასურველია, სხვა მიმართულებებითც ანალოგიური მიდგომა იქნეს გამოყენებული სამომავლოდ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასების ფორმად, აკრედიტაციის სტანდარტის თანახმად, აღებულია ეროვნული ან/და საერთაშორისო აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები. შესაბამისად, სასურველი იყო, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში ვრცლად ყოფილიყო წარმოდგენილი ბოლო აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების

შესახებ ინფორმაცია. ასევე, გარე კოლეგიალური შეფასება აუცილებლად უნდა იქნეს გამიჯნული ხარიხსის გარე შეფასება-მონიტორინგისაგან. ვინაიდან გარე ხარისხის შეფასების სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის არსებითია, აღნიშნული შეფასების პროცესში ობიექტური გარეშე პირის/ექსპერტის შესაბამისი დასკვნის არსებობა და დასკვნის საფუძველზე არსებული რეკომენდაციების შესაბამისი ასახვა პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გარე ხარისხის შეფასების შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
• **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** **სასურველია** ხარისხის გარე შეფასება გაიმიჯნოს განმავითარებელი შეფასებისაგან და აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში. საბაკალავრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა პროგრამაფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ზოგადად, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. პროგრამის მონიტორინგის ფორმატში, დაწესებულება, საჭიროების შემთხვევაში, იყენებს ლექციაზე დაკვირვების ფორმას.
სტუდენტების მხრიდან ხორციელდება სერვისების შეფასება.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი შიდა მექანიზმები წარმოდგენილია, როგორიც არის კითხვარები, თუმცა, გამოკითხვის შედეგები და მათი ანალიზი, ფაქტობრივად, კურსდამთავრებულებთან და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებასთნ მიმართბით არსებობს. სასურველია, სხვა მიმართულებებითც ანალოგიური მიდგომა იქნეს გამოყენებული სამომავლოდ.
თუმცა, პროგრამის შინაარსისა თუ სასწავლო კურსებით ფორმირებული ბადის მონიტორინგის მიზნით, არ არის შესრულებული ისეთი მნიშვნელოვანი კვლევა, როგორიც უცხო პროგრამებთან დადარება და დადარების შედეგების ანალიზია, რაც გამოყენებულ იქნებოდა პროგრამის განვითარების მიზნით, ბუნებრივია, თუ ასეთი საჭიროება დადარების შედეგების მიხედვით გამოვლინდებოდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტთა გამოკითვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐**<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლევან მოსახლიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის



გიორგი მახარობლიშვილი

სოფიო ჩაჩავა

ნინო ხუბულია